



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

ქ. მარნეული

21.04.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომგუნ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი **კამილ მუსაევი**, შ.პ.ს. „ბოლოგი“-ს წარმომადგენლები: დირექტორი **ლ.წიკლაური** და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი **მ.ნათელაშვილი**

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული 3 წერილი, რომლის განხილვასაც გამგეობა ითხოვს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე. ეს საკითხებია: 1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4167 წერილი საქართველოს პარლამენტის წევრებზე ბიუროს ფუნქციონირებისათვის საოფისე ფართის გადაცემის შესახებ. 2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ. 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ. საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, რომ სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანას მხარს არ დაუჭირენ, ვიდრე არ მოხდება განმარტება, თუ რატომ ხდება მოსახლეობისათვის გასაწევი სოციალური პროგრამის შემცირება, ასევე მხარი არ დაუჭირეს შესწავლის გარეშე გამგეობის ზედამხედველობის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტს და კიდევ ერთხელ მოითხოვეს აღმასრულებელი ორგანოსაგან სხდომაზე განსახილველი საკითხების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შემოტანა, გამონაკლისი, აუცილებლად გადაუდებელი საკითხების გარდა, რის შემდეგაც სხდომაზე განსახილველი საკითხები ჩამოყალიბდა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

2. შ.პ.ს. „სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394 წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილის განხილვის შესახებ.

5. ი/მ „გულჩინა ამოევა“-ს და შ.პ.ს. „ბოდოგი“-ს ერთობლივი განცხადების განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 აპრილის N1489-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4167 წერილის განხილვის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N39. 21.04.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N40. 21.04.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 მარტის N03/3394 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურზე გამოყოფილი 600 ლიტრი საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დიფერენცირება მოხდეს შემდეგნაირად: 450 ლიტრი ბენზინი და 150 ლიტრი დიზელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N38. 21.04.2017 წ.).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილი, რომლითაც ითხოვს თანხმობას ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციისათვის საწევრო გადასახადის - 5 265 ლარის გადარიცხვაზე ხელშეკრულების ხელმოწერისათვის. საკრებულოს წევრებმა ითხოვეს ჯერ მოხდეს ასოციაციის მიერ გაწეული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადახედვა, თუ რა გააკეთა ასოციაციამ გასულ წელს მუნიციპალიტეტების დასახმარებლად და შემდეგ მოხდეს ამ საკითხის განხილვა. აღნიშნული წინადადება საკრებულოს თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე, რასაც დაეთანხმა საკრებულოს სრული შემადგენლობა და საკითხი გადადებული იქნა შემდგომი განხილვისათვის.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N17. 21.04.2017 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 3 აპრილის N03/3461 წერილით შემოსული, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 3 აპრილის N1489-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 იანვრის N04 განკარგულებაში და ჩანაწერები „ქალაქი მარნეული, ერეკლე II -ს ქუჩა N5“ შეიცვალოს ჩანაწერით „ქალაქი მარნეული, ერეკლე II -ს ქუჩა N2“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N35. 21.04.2017 წ.).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4167 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 20 აპრილის N1749-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოს პარლამენტის წევრების, მაჟორიტარი დეპუტატების თამაზ ნავერიანის და რუსლან გაჯიევის ბიუროს ფუნქციონირებისათვის, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტით, ბიუროს ფუნქციონირების ვადით, გასცეს ქალაქ მარნეულში,

რუსთაველის ქუჩა N73-ში მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი: N83.02.23.203) პირველ სართულზე არსებული 67 კვ.მ. ფართიდან თითოეულზე 33,5 კვ.მ. ფართი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულებები N36 და N37. 21.04.2017 წ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი